ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

11 თებერვალი, შაბათი, 1989 წ.
№ 29 (9948) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# დავით კაჭარავა — მოსკოვის ჩემპიონი

ამ ბოლო ხანს იმდენად გაიზარდა მოსკოვის ტრადიციული ღია ჩემპიონატის პოპულარობა, რომ ამჯერად მასში ქვეყნის 18 ქალაქის 160-მდე ჩოგბურთელმა სცადა ძალა. ამის გამო წინასწარი შეხვედრები 3 ეტაპად ჩატარდა, საიდანაც 32 ქალი და ამდენივე ვაჟი აგრძელებდა ბრძოლას ფინალურ შეხვედრებში.

ასეთ მარათონულ ტურნირში ყველაფერია მოსალოდნელი, რის გამოც მრავლისმნახველნი და მომსწრე სპეციალისტებიცა და ჩოგბურთის თაყვანისმცემლებიც ყოველგვარ პროგნოზზე თავს იკავებდნენ. სიუპრიზმაც არ დააყოვნა და თბილისელმა დავით კაჭარავამ ნახევარფინალში ფარხმალი დააყრევინა ქვეყნის ათეულში IX ადგილზე მყოფ რიგელ გ. ძელდეს. არც მის მომავალ მეტოქეს ვ. პეტრუშენკოს ჰქონია გადამწყვეტი მატჩისაკენ მიმავალი გზა იოლი. ქვეყნის კლასიფიკაციაში 38-ე ადგილზე მყოფმა კიეველმა მერვე ჩოგნად წოდებული ხარკოველი დ. პოლიაკოვი დაამარცხა. ყველაფერმა ამან ძალზე გაამძაფრა გადამწყვეტი მატჩი ჩემპიონობისთვის. მაგრამ მარტო პირველ ხელზე აღინიშნა თანაბარი ბრძოლა, მეორეში თბილისელმა აშკარად დაჯაბნა მეტოქე და გაიმარჯვა კიდეც — 7:6, 6:0.

ქალთა ფინალში კიეველმა ნ. მედვედევამ დაამარცხა მოსკოველი ე. მანიუკოვა.



დავით კაჭარავა.

დეპეშა ერევნიდან

## გაზეთ „ლელოს“ რედაქციას

**სომხეთის სპორტსახკომი და მძლეოსნობის რესპუბლიკური ფედერაცია გულწრფელ მადლობას უძღვნიან საქართველოს პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს, სპორტსახკომის ხელმძღვანელობას და მძლეოსნობის უმაღლესი დაოსტატების რესპუბლიკური სკოლის კოლექტივს სომეხი ხალხისათვის ამ უმძიმეს დღეებში ჩვენი მძლეოსნებისათვის გაწეული ძმური დახმარებისათვის.**

**სომხეთის სპორტსახკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ისპირიანი, პარტორგანიზაციის მდივანი მირზოიანი, მძლეოსნობის ფედერაციის თავმჯდომარე ნაზარეთიანი.**

**როგორც** ადრე ვიუწყებოდით, სომხეთის მძლეოსნები თბილისში მოიწვიეს შეკრებაზე და მათ ყოველგვარი პირობები შეუქმნეს სწავლისა და წვრთნისათვის.

## ჩვენი დიდოსტატები ლიდერთა შორის

**საფრანგეთის** საპორტო ქალაქ ჰავრში მიმდინარე მოჭადრაკე ქალთა საერთაშორისო ტურნირში, ორი ჩვენი თანამემამულე მონაწილეობს — დიდოსტატები ნონა გაფრინდაშვილი და ქეთევან არახამია. სულ შეჯიბრებაში 12 მოჭადრაკე ჩაება, მათგან 7 დიდოსტატია: გაფრინდაშვილი, არახამია, ჟუჟა ვერეცი, ილდიკო მადლი (ორივე — უნგრეთი), მარგარეტ ვოისკა (ბულგარეთი), ალისა მარიჩი (იუგოსლავია) და სიუზი არკელი (ინგლისი). 7 ტურის შემდეგ 5,5 ქულით შეჯიბრებას ინგლისელი მოჭადრაკე ლიდერობს, გაფრინდაშვილს 5 ქულა აქვს, არახამიას — 4,5.



**გუშინ თბილისში, ვაკის საცურაო აუზში მიმდინარე წყალში მხტომელთა საკავშირო პირველობაზე გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის“ პრიზზე და სსრ კავშირის ჩემპიონატში შესანიშნავად გამოვიდა თბილისელი გიორგი ჩოგოვაძე (სურათზე). დილით იგი უძლიერესი აღმოჩნდა გაზეთის პრიზზე გამართულ შეჯიბრებაში.**

ინჟ. მე-4 გვ.

ავთანდილ გურასაშვილის ფოტო.

## ამ კვირის ახალი ამბები

**რესპუბლიკის** სპორტსახკომში ჩატარდა საკავშირო ახალგაზრდული სპორტული თამაშებისათვის ჩვენი ნაკრები გუნდების მზადების ხელმძღვანელობის შტაბის მორიგი სხდომა. მოისმინეს მაგიდის ჩოგბურთელთა, თანამედროვე ხუთჭიდელთა და ცხენოსანთა ნაკრები გუნდების უფროსი მწვრთნელების ინფორმაციები. აღინიშნა, რომ მაგიდის ჩოგბურთში იასპარეზებენ ამ შეჯიბრებისთვის გათვალისწინებულ ასაკზე სამი-ოთხი წლით უმცროსი სპორტსმენები, რადგან ადრე დაშვებული უყურადღებობით შენარჩუნებული არ იყო ასაკობრივი თანმიმდევრობა. განსაკუთრებით სუსტად გამოიყურებიან გოგონები. ასაკის მხრივ იგივე მდგომარეობაა ცხენოსნობაში. აქ ჯერ კიდევ არ არის ერთად თავმოყრილი რესპუბლიკის საუკეთესო ცხენები და მხედრები. შედარებით უკეთაა მდგომარეობა თანამედროვე ხუთჭიდში.

**საწარმოო** გაერთიანება „ელექტროაპარატის“ კოლექტივს, გაერთიანების ადმინისტრაციისა და საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ფედერაციის თაოსნობით, ამ დღეებში სტუმრად ეწვივნენ რესპუბლიკის სპორტული ჟურნალისტები. პრესის და ტელევიზიის წარმომადგენლებმა ისაუბრეს შრომით კოლექტივებში ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტ-მასობრივი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ამოცანებზე და პასუხი გასცეს სპორტის გულშემატკივართა შეკითხვებზე.

**საქართველოს** თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ნაკრები გუნდი გაემგზავრა ირანში, სადაც ჩვენი ფალავნები მონაწილეობას მიიღებენ საერთაშორისო ტურნირში. ნაკრების შემადგენლობაში არიან: დავით გობეჯიშვილი, ლერი ხაბელოვი, მამუკა რაზმაძე, ზურაბ ტატუაშვილი, ეგია მუსოიანი, ავთანდილ გოგოლიშვილი. გუნდის მწვრთნელია ვლადიმერ მესტვირიშვილი. ტურნირი დღეს დაიწყება.

## ქართულ ჭიდაობაში საერთაშორისო შეჯიბრების სპონსორები

**„ლელოს“ მკითხველებს ადრე ვაუწყეთ, რომ გადაიდგა პირველი ნაბიჯები ქართულ ჭიდაობაში საერთაშორისო შეჯიბრების ჩასატარებლად. „ლელოს“ რედაქციისა და საქართველოს სპორტსახკომის ამ თაოსნობას პირველები გამოეხმაურნენ კინოსტუდია „ქართული ფილმის“ ხელმძღვანელები. ეს მრავალრიცხოვანი შემოქმედებითი კოლექტივი თავის წვლილს შეიტანს ღონისძიების პროპაგანდის საქმეში. გარდა ამისა, კინოსტუდიამ ქართული ეროვნული ტანსაცმელით უკვე მოამარაგა დამკვრელთა დასტა.**

**სპონსორობის სურვილი გამოთქვა აგრეთვე საქაგრომრეწვის შულავერის მატყლის პირველადი გადამუშავების ფაბრიკის კოლექტივმა (დირექტორი ს. კაზაკოვი). უკვე გაფორმდა სათანადო ხელშეკრულება. ფაბრიკა თავის მხრივ 100 ათას მანეთს გამოყოფს ქართულ ჭიდაობაში საერთაშორისო შეჯიბრების დასაფინანსებლად.**

# პირქუშ უშბაზე — ზამთარში



ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სპორტკლუბის მთამსვლელთა გუნდმა, რომელიც შედგებოდა საქართველოს და რესპუბლიკის ალპინიზმის ფედერაციის ნაკრები გუნდის წევრებისგან, წარმატებით დაასრულა ზამთრის ასვლა უშბაზე (4710 მეტრი). ურთულეს კლიმატურ პირობებში მათ გაიარეს მარშრუტი სამხრეთ მწვერვალზე სამხრეთ-აღმოსავლეთ კედლით.

ეს გზა ჯერ კიდევ 1937 წელს გაკვალა ხერგიანთა შესანიშნავი ალპინისტური დინასტიის ერთ-ერთმა ბრწყინვალე წარმომადგენელმა — გაბრიელმა, რომელმაც ჩვენს ქვეყანაში პირველმა მოახდინა ასვლა ტექნიკური კლასით. მომდევნო წლებში ეს გზა გაიარა მთამსვლელთა მრავალმა თაობამ, მაგრამ ეს ხდებოდა მხოლოდ ზაფხულობით. ზამთრის პერიოდში უშბა დიდხანს რჩებოდა მიუვალ მწვერვალად.

1984 წლის თებერვალში მისი დაპყრობა გადაწყვიტეს ქართველმა მთამსვლელებმა. ირაკლი გელდიაშვილი, დავით თარხნიშვილი, მურად ჰაჭინაძე, გიორგი ზუმბაძე, დავით კობახიძე და გიორგი ტუშური ძალზე ახლოს იყვნენ წარმატებასთან. ისინი ავიდნენ მწვერვალზე, მაგრამ დაშვებისას მოხდა ტრაგიკული შემთხვევა, რომელმაც ამ მამაცი ადამიანების სიცოცხლე იმსხვერპლა.

სვანეთი მარტო გამარჯვებების მოწმე როდი ყოფილა. სამწუხაროდ, მის, ისევე როგორც მთელი რესპუბლიკის მცხოვრებლებს არაერთხელ უგლოვიათ მთებში დაღუპული მამაცი ალპინისტები. ამჯერად თითქმის მთელი რეგიონის და, განსაკუთრებით, უშბასთან ყველაზე ახლოს მდებარე სოფელ მაზერის მოსახლეობამ გამოიჩინა ერთსულოვნება და მზრუნველობა ახალი ექსპედიციისათვის დახმარების გაწევაში. ეს ასვლა ხომ ეძღვნებოდა ხუთი წლის წინათ დაღუპულ მთამსვლელთა ხსოვნას. ამ სოფლის მკვიდრმა, ალპინიზმის ვეტერანმა 97 წლის ლუკა ვეზდენმა საკუთარ სახლში მიიღო მთამსვლელები. რომლებმაც იქ საბაზო ბანაკი გაშალეს.

მზადყოფნის შესამოწმებლად თავიდან მოეწყო საწვრთნელი ასვლა მწვერვალ გულბაზე (3900 მეტრი), 28 იანვარს კი მოიერიშე ჯგუფმა უშბას შეუტია, რომელიც მამაც ალპინისტებს ძლიერი ყინვითა და ქარით შეხვდა.

მოიერიშე ჯგუფში შევიდნენ მაღალი კვალიფიკაციის სპორტსმენები, რომლებსაც არაერთხელ მიუღიათ მონაწილეობა ურთულეს ასვლებში. თბილისელები — ექსპედიციის ხელმძღვანელი, გეოლოგი ბიძინა გუჯაბიძე, გუნდის მწვრთნელი ლევ სარქისოვი, ფიზიკოსი ვანო ვაშაყმაძე, ფსიქოლოგი თორნიკე ბერიშვილი, ექიმი სანდრო კობაიძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი დავით რაქვიაშვილი, აგრეთვე ქუთაისელი ტურიზმის ინსტრუქტორი მალხაზ ცირეკიძე. მთელი მარშრუტის გამავლობაში კლდიან ბასტიონზე და მის დამაგვირგვინებელ, პრაქტიკულად, ვერტიკალურ კედელზე თითოეულმა მათგანმა გამოიჩინა უმაღლესი ოსტატობა და სიმტკიცე, ვაჟკაცობა და ამტანობა, დასახული მიზნისაკენ სწრაფვა.

31 იანვარს ამ გაბედულმა და ძლიერმა ადამიანებმა დაიპყრეს მწვერვალი. მათმა წარმატებამ გაფანტა მითი ზამთრობით უშბის მიუდგომლობის შესახებ.

**შ. შალოლაშვილი.**
**საქინფორმის კორ.**



მწვერვალი უშბა; ექსპედიციის საიერიშო და დამხმარე ჯგუფის წევრები.

ავთანდილ გურასაშვილისა და ექსპედიციის მონაწილის ივანე ვაშაყმაძის ფოტოები.

## ორი გამარჯვებული

**დონის** როსტოვში ჩატარდა შეიარაღებულ ძალთა იუნიორ სამბისტების საკავშირო ჩემპიონატი, რომელშიც 1971-1972 წლებში დაბადებული ათლეტები მონაწილეობდნენ. შეჯიბრებაში სხვა კოლექტივებთან ერთად გამოვიდნენ ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამბისტები, რომელთაგან საბჭოთა კავშირის ჩემპიონები გახდნენ: მევლუდ მელაძე (48 კგ) და დავით ჩოჩიშვილი (მძიმე). ხოლო გელა რიჟამაძემ მძიმე წონაში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

შეჯიბრებისთვის გუნდი მოამზადა სპორტის ოსტატმა ემილ ბაბასიანმა.

# რატომ „გავწყვიტოთ“ ჭეშმარიტება?..

**მე ხშირად მომმართავს ის ხალხი, ვინც კი სამამულო ფეხბურთის ისტორია იცის, ბევრნი ძალზე გაკვირვებული არიან იმით, თუ როგორ არასწორადაა აღწერილი საბჭოთა კავშირის ნაკრების მარცხი 1952 წლის ჰელსინკის ოლიმპიადაზე ხ. ტოკარევისა და ა. გორბუნოვის ნარკვევში „გაწყვეტის წერტილი“, რომელიც ჟურნალ „სპორტივნიე იგრიში“ დაიბეჭდა (№№6-10, 1988 წ.). მართალი გითხრათ, უკვე აღარ შემიძლია ყველას ცალცალკე მოვუყვე თუ რა მოხდა სინამდვილეში და ამიტომაც გადავწყვიტე კალამი ამეღო ხელთ.**

**ნარკვევის** ავტორები 1952 წლის ოლიმპიადისთვის მზადების შესახებ წერენ: „მოსკოვში იწყებოდა ამხანაგური მატჩების სერია სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ნაკრებ გუნდებთან. ვთქვათ, უნგრელების ჩამოსვლამდე რამდენიმე დღით ადრე მიხაილოვი (იმ დროს საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ორგბიუროს წევრი) რწმუნებულ პირს აგზავნიდა რომანოვთან (იმ დროს საკავშირო სპორტკომიტეტის თავმჯდომარე), ჩვენი გუნდის შემადგენლობის დაუყოვნებლივი დასახელების მოთხოვნით. რომანოვი ურეკავდა ბ. არკადიევს ან მეორე მწვრთნელ მ. იაკუშინს. ისინი, ბუნებრივია, პასუხობდნენ, რომ სანამ არ ეცოდინებოდათ, თუ რა შემადგენლობით ჩამოდის მეტოქე, თავისიანების გვარების დასახელება უძნელდებოდათ. მაგრამ რომანოვი, რომელმაც იცოდა მიხაილოვის ხასიათი, დაჟინებით ითხოვდა პასუხს. მწვრთნელებს გამოსავალი აღარ რჩებოდათ და ასეთ ვითარებაში ნაკარნახევი შემადგენლობა მიჰქონდათ სეროვისა და მაროსეიკის ქუჩების კუთხეში, სადაც მიხაილოვი მაგიდაზე, შუშის ქვეშ დებდა სიას და ამბობდა „არავითარი ცვლილება არ დაიშვება“.

„როგორ მოქმედებდა ამ ვითარებაში არკადიევი?“ — კითხეს მოთხრობის ავტორებმა ჩვენი ოლიმპიური დელეგაციის ერთ-ერთ წევრს. „ძალზე დამჯერე, თავაზიანი, ხაზგასმულად კორექტული იყო და მხოლოდ სადღაც ძალიან ღრმად, მხოლოდ გამოხედვაში იგრძნობოდა ირონია“. „იაკუშინი?“ — „იაკუშინი ეშმაკი იყო, თავი ნეიტრალურად ეჭირა...“

მე თავი მართლა ნეიტრალურად მეჭირა. მაგრამ არა იმიტომ, რომ ეშმაკი ვიყავი, უბრალოდ, იმ პერიოდში ჯერ... არ ვმუშაობდი საბჭოთა კავშირის ნაკრებში. მეორე მწვრთნელად მე 1952 წლის ივნისის ბოლოს, ოლიმპიადის დაწყებამდე დაახლოებით ერთი თვით ადრე დამნიშნეს, როდესაც უკვე ნათამაშევი იყო მატჩები პოლონეთთანაც, უნგრეთთანაც და ბულგარეთთანაც. რომანოვს სრულებით არ სჭირდებოდა ჩემთან დარეკა შემადგენლობის გასაგებად.

„გაწყვეტის წერტილის“ თანახმად, ბ. არკადიევი დამჯერე, დამყოლი (ნარკვევში ამას „დემოკრატიულსაც“ ეძახიან) იყო. ცოტას თუ „დააწვებოდნენ“, ფეხბურთის „მეცენატებს“ შეეძლოთ კიდეც მისთვის თავს მოეხვიათ თავიანთთვის სასურველი კანდიდატურები, რითაც, ოლიმპიადის წინ სარგებლობდნენ „საკავშირო ალკკ ცკ-ის მდივნები ა. შელეპინი და ვ. სემიჩასტნი, თვით ნ. რომანოვი, მისი მოადგილეები, არმიის გენერლები, რომელთა შორის იყო სამხედრო საჰაერო ძალების უფროსი ვასილი სტალინი, ბერიას უწყების გენერლები, პროფკავშირების პასუხისმგებელი წარმომადგენლები...“

არკადიევი კი ნამდვილად არც დამჯერე ყოფილა არასოდეს და არც დამყოლი (სიტყვამ მოიტანა და, ხასიათის ასეთი თვისებებით ვერასოდეს გახდები კარგი მწვრთნელი). თავაზიანი, აუღელვებელი ბორის არკადიევი თავის გადაწყვეტილებებში მუდამ დამოუკიდებელი და მტკიცე იყო. სპორტულ წრეებში ბევრმა კარგად იცოდა, რომ როდესაც ბორის ანდრეის ძე ხელშეკრულებით მუშაობდა ცდკა-ს გუნდის უფროს მწვრთნელად, მან კატეგორიულად უარყო ოფიცრის წოდების მილების წინადადება, მიუხედავად იმისა, რომ ამით ხელფასსაც საგრძნობლად მოიმატებდა.

წლების განმავლობაში მე და არკადიევი გვერდიგვერდ ვცხოვრობდით და ყოველთვის ვმეგობრობდით. ერთხელ ვკითხე კიდეც, თუ რატომ თქვა უარი ოფიცრობაზე, მან კი იცით რა მიპასუხა? „საქმე ისაა, მიშა, რომ ახლა, როდესაც მარშლებსა და გენერლებს ვესაუბრები, შემიძლია შევეწინააღმდეგო კიდეც მათ, მაგრამ თუ ოფიცერი გავხდი, სულ „სმენაზე“ უნდა ვიდგე...“

რა პრობლემებს წააწყდა არკადიევი 1952 წელს ნაკრების დაკომპლექტებისას? ის პერიოდი სამამულო ფეხბურთის ისტორიაში საკმაოდ არახელსაყრელი იყო. 1940-იანი წლების დამლევსა და 50-იანი წლების დასაწყისში დიდი ფეხბურთი ასაკის გამო დატოვა ბევრმა წამყვანმა მოთამაშემ, მათი ცვლა კი ის-ის იყო გამოცდილებას იძენდა. იმისათვის, რომ ფორსირებული მომზადების გზით, რამდენიმე თვის განმავლობაში გაემდიდრებინათ ნაკრების ახალგაზრდა კანდიდატების ტაქტიკური არსენალი, საიმედო დონემდე აეყვანათ მათი ტექნიკა, საგაზაფხულო საწვრთნელ შეკრებაზე, არკადიევის დასახმარებლად ერთდროულად სამი სპეციალისტი მიავლინეს: მ. ბუტუსოვი, ე. ელისეევი და გ. ფედოტოვი.

როდესაც ამ შეკრების შესახებ ლაპარაკობდნენ, ნარკვევის ავტორებს მ. ბუტუსოვი რატომღაც „მესამე მწვრთნელის“ როლში გამოჰყავთ, მაშინ, როცა იგი ისეთივე უფლებებით სარგებლობდა, როგორც ელისეევი და ფედოტოვი. ისიც დაწერეს, რომ ბუტუსოვი ნაკრებში აიყვანეს იმიტომ, რომ მიაჩნდათ, რომ მას, წარსულში უდიდეს ბომბარდირს, შეეძლო ყველასათვის „დაეყენებინა“ დარტყმა, ის კი უბრალო ვინმე იყო: „შენ ფეხის წვერით ხეთქე და პირდაპირ „ცხრიანში“ გაუშვი“.

ეს არ არის მართალი. პირველხარისხოვანი მწვრთნელი (გაიხსენეთ, კიევის „დინამო“ მხოლოდ ერთ ომისშემდგომ წელიწადში სწორედ ბუტუსოვმა ააღორძინა), ღიარებული მეთოდისტი, ბოლოს და ბოლოს სულითხორცამდე პეტერბურგელი, ჭეშმარიტი ინტელიგენტი მიხეილ პავლეს ძე ბუტუსოვი ხუმრობითაც კი არ მისცემდა საკუთარ თავს იმ სიტყვების თქმის უფლებას, რომლებიც მას „გაწყვეტის წერტილში“ მიაწერეს.

ავტორები იუგოსლავიელებთან მარცხის ერთ-ერთ მიზეზად იმას თვლიან, რომ მოსამზადებელ პერიოდში ბ. არკადიევმა ზედმეტი ვარჯიშით გადაღალა მოთამაშეები. მოჰყავთ ნაკრების მაშინდელი წევრის ვ. ტროფიმოვის სიტყვები: „მახსოვს ზედმეტი ვარჯიშით გადაღლისა და აპათიის შეგრძნება. ჩვენ პირველივე მატჩიდან გამოფიტული, დათრგუნვილი გამოვიყურებოდით“. უფრო მეტიც, ცდილობენ დაამტკიცონ, რომ არკადიევის მუშაობის დამღუპველი მეთოდი (დაუსრულებელი სინჯები და ვარაუდები, ნერვების დამწყვეტი დატვირთვები) არაფეხბურთო დისციპლინებზეც გავრცელდა, რომ „ჩვენი სპორტის ამ სარეველა ბალახის მარცვლები სწორედ მაშინ, 52-ში დაითესა“.

მაგრამ თუ კი ნაკრები ზედმეტი ვარჯიშისგან გადაიტვირთა, ეს ხომ რაღაცაში მაინც უნდა გამოვლენილიყო ოლიმპიადაზე. სპორტულ გადაქანცვას თავისი გარკვეული ნიშნები გააჩნია, ეს ვლინდება როგორც ვიზუალურად, ასევე მედიცინის გზითაც. 90 წუთი აქტიური თამაშის უუნარობა, საბრძოლო, სანებისყოფო ჩვევების საგრძნობი დაქვეითება, რასაც წესების ხშირი დარღვევა მოსდევს, ჩვეული სათამაშო ურთიერთკავშირების დარღვევა — აი, ცალკეულ მოთამაშეთა და მთელი გუნდის გადაღლის ნიშნები. სსრ კავშირის ნაკრებთან 1952 წელს მუშაობდა ექიმების მთელი ჯგუფი და მათ ვერც ერთ მოთამაშეს ვერ აღმოუჩინეს ზედმეტი ვარჯიშით გამოწვეული გადაღლის ნიშნები.

გადაღლილი, „დათრგუნვილი“ გუნდებისთვის არაფერია იმაზე მძიმე, როგორც ბრძოლა დამატებით დროში. მაგრამ სწორედ 113-ე წუთზე გამოვტაცეთ გამარჯვება (2:1) ტრადიციულად ძნელ, ათლეტურ და სწრაფ ბულგარეთის ნაკრებს. და კვლავ არა 90, არამედ 120 წუთი ვეთამაშეთ იუგოსლავიის ნაკრებს, რომელიც წინა, ლონდონის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი იყო და ჰელსინკშიც გაიმეორა ეს შედეგი. ჩვენს წინააღმდეგ მატჩი იუგოსლაველთათვის 152-ე საერთაშორისო შეხვედრა იყო, როდესაც ჩვენები მხოლოდ მეორე ასეთ მატჩს ატარებდნენ. საფინალო სასტვენამდე 15 წუთით ადრე იუგოსლავიელებს ანგარიში მიჰყავდათ 5:1! გეკითხებით, შეეძლო გადაღლილ, ზედმეტად ნავარჯიშევ გუნდს დარჩენილ თხუთმეტ წუთში იუგოსლავიელთა კარში ოთხი გოლის გატანა?

„გაწყვეტის წერტილში“ მოთხრობილია, ვითომ გუნდის ოლიმპიადაზე გამგზავრების წინ ჩვენ ყველანი ლენინგრადის სასტუმრო „ასტორიაში“ შეგვკრიბა საკავშირო ალკკ ცკ-ის პირველმა მდივანმა ნ. ა. მიხაილოვმა და „შეგვატყობინა, რომ არის აზრი გაეგზავნოს წერილი ამხანაგ სტალინს ოლიმპიურ ჩემპიონებად გახდომის საზეიმო დაპირებით“. „ჩვენთვის ამ კრების არცთუ ისე ბევრი წვრილმანია ცნობილი, — წერენ ნარკვევის ავტორები, — მაგრამ წარმოგვიდგენია, ალბათ, რა სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ადგა არკადიევი... მან თქვა, რომ საკითხის ასე დაყენება არაა კორექტული, სპორტი სპორტია, და ასეთი ტურნირის პერიპეტიების წინასწარ გამოცნობა შეუძლებელია. მოთამაშეები დუმდნენ, მიხაილოვი იცდიდა. უცებ წამოხტა ალექსანდრე პეტროვი, რომელიც იმით იყო ცნობილი, რომ ყველასთვის შეეძლო პირში მიეხალა სიმართლე და კატეგორიულად განაცხადა: ყველაფერს გავიღებთ, ძალღონეს არ დავიშურებთ, ხელს კი არაფერს მოვაწერთ. ასეც გავემგზავრეთ“.

გასაკვირი არაა, რომ ავტორებისთვის „კრების არცთუ ისე ბევრი წვრილმანია ცნობილი“, რადგანაც მიხაილოვს გუნდი ლენინგრადში არ შეუკრებია და სტალინისთვის გასაგზავნ არავითარ წერილზე ჩვენთან არ უსაუბრია, მაგრამ კომკავშირის ცკ-ის პირველ მდივანს რომ მართლა „შეეტყობინებინა“ ფეხბურთელთა გუნდისთვის, რომ „არის აზრი“ გაეგზავნოს წერილ-ვალდებულება სტალინს, ამ „აზრის“ უგულებელყოფა მაშინ არც ერთ სოციალურად ორგანიზებულ უჯრედს, მათ შორის ფეხბურთის გუნდსაც არ შეეძლო.

ნარკვევში ნათქვამია, მეორე მატჩი იუგოსლაველებთან ჩვენმა ფეხბურთელებმა „ფაქტიურად ათი კაცის შემადგენლობით ჩაატარეს...“ ავტორების აზრით, აბსოლუტურად უსარგებლო იყო მინდორზე ჩვენი მარცხენა გარემარბის ა. ჭკუასელის ყოფნა. „კიდევ ერთი გამოცანა — გამოცდილი ფრიდრიხ მარიუტინის შეცვლა ავთანდილ ჭკუასელით. ხომ იცოდნენ, რომ იგი მხოლოდ 21 წლისა იყო, რომ არასდროს უთამაშია ძირითად შემადგენლობაში, რომ ეს მის ცხოვრებაში პირველი საერთაშორისო მატჩი იყო... ახლა მ. ი. იაკუშინი ამ შეცვლის თაობაზე ჩვენს შეკითხვაზე გვპასუხობს: „ეს მე შევიტანე წინადადება გაგვეკეთებინა ტაქტიკური ხასიათის მოულოდნელობა, მაგრამ ამან არ გაამართლა...“ ჩვენ არა გვაქვს ასეთი პატივცემული ადამიანისადმი უნდობლობის საფუძველი თავდაპირველად იდეა, ალბათ, მიხეილ იოსების ძისგან მოდიოდა, მას სპორტული იერიც დაჰკრავდა. მაგრამ, ეტყობა, რომ მას სხვა აზრის გავლენითაც გაუმყარდა საფუძველი — რომ ჭკუასელი დინამოელია, ქართველი. თუ დელეგაციის ხელმძღვანელობას გამარჯვების იმედი ჰქონდა... არ არის გამორიცხული იმის სურვილიც, რომ ამით მოიგო „დინამოს“ მთავარი მფარველის გული, რომელსაც „ტყუილად არ უწოდა სტალინმა მგზნებარე მეგრელი“ (იმდროინდელი ლექსიდან). შესაძლოა თვით ყველაზე „დიდსაც“ აამო. რა თქმა უნდა, საეჭვოა „პატარა სამშობლოს“ სიყვარულის უნარი ჰქონდეთ მეუფესა და მის ჯალათს, რომელთა მსხვერპლთა შორის საქართველოს საზოგადოების მოწინავე ნაწილიც იყო“.

თუ არ არის ჩემს მიმართ, როგორც „ასეთი პატივცემული ადამიანისადმი“ უნდობლობის საფუძველი, მაშინ ავტორები არ უნდა დასჯერებოდნენ ჩემთან მოკლე სატელეფონო საუბარს და ყველაფერი გულდაგულ და ბოლომდე გაერკვიათ.

განმეორებითი თამაშისთვის მზადებისას არკადიევმა განსახილველად გამოიტანა ერთი საკითხი: დაგვეტოვებინა თუ არა უცვლელად თავდასხმის ხუთეული? პირველ მატჩში მან ძირითადად გაამართლა, თუმცა თამაშობდა ძირითადი მარცხენა გარემარბის ა. ილინის გარეშე, რომელმაც ტრავმა მიიღო ბულგარელებთან თამაშის დროს და ამიტომაც ფ. მარიუტინმა შეცვალა. არკადიევს ის აწუხებდა, რომ ჩვენი თავდასხმის ხაზის თამაში იუგოსლავიელებს ზუსტად ექნებოდათ გაანალიზებული. არკადიევმა შემოგვთავაზა ილინის შემცვლელის ა. ჭკუასელის კანდიდატურის განხილვა. მეც მიმაჩნდა, რომ მარიუტინის შეცვლა ამ მოთამაშით იყო საჭირო, რომელიც გუნდში ყველაზე ახალგაზრდა, ამავე დროს სწრაფი, თამამი და ტექნიკური გახლდათ. დაახლოებით ერთი თვით ადრე ჭკუასელმა ჩინებულად ითამაშა თბილისის „დინამოს“ შემადგენლობაში სოფიის ნაკრების წინააღმდეგ. ამიტომაც არკადიევმა იგი ნაკრების შემადგენლობაში შეიყვანა. ჭკუასელმა მოსკოვშიც კარგად ითამაშა იმავე სოფიის ნაკრების წინააღმდეგ. ნარკვევის ავტორები ცდებიან, როდესაც ამბობენ, თითქოს, იუგოსლავიელებთან მატჩამდე ჭკუასელს არ ეთამაშოს ნაკრების ძირითად შემადგენლობაში, რომ ეს მისი პირველი საერთაშორისო შეხვედრა იყო.

ჭკუასელის კანდიდატურის განხილვის დროს არც ერთ ჩვენგანს არ უფიქრია არც სტალინზე, არც საქართველოზე, არც „დინამოს“ საზოგადოების ინტერესებზე.

„გაწყვეტის წერტილში“ ამ ახალგაზრდა ფეხბურთელზე ნათქვამია, რომ „მან რუსული ენა ცუდად იცოდა“ (ჭკუასელი კი რუსულად ბავშვობიდან კარგად ლაპარაკობდა), რომ მინდვრის განაპირას სკამზე მჯდომი იაკუშინი, ანთაძე და კომკავშირის ცკ-ის მუშაკი გრიგორიანი, რომელმაც ქართული იცოდა, ასე ხელმძღვანელობდნენ ჭკუასელის თამაშს: იაკუშინი იძლეოდა მითითებებს, ანთაძე და გრიგორიანი კი ორ ხმაში უყვიროდნენ ქართულ თარგმანს და მაინც, საბრალო ჭკუასელი სულ სხვაგან გარბოდა და სულ სხვას აძლევდა პასს. მარცხენა ფრთაზე სრული ქაოსი სუფევდა, ფაქტიურად ათნი თამაშობდნენ...

კომკავშირის ცკ-ის თანამშრომელს გრიგორიანს არც მაშინ ვიცნობდი და არც ახლა ვიცნობ. ანთაძე სხვა სათადარიგო მოთამაშეებთან ერთად არკადიევის გვერდით იჯდა, მე კი, ჩვეულებისამებრ, იუგოსლავიელთა კართან ვიდექი და არავითარი მითითება ჭკუასელისთვის არ მიმიცია. თუმცა, ასეთი რამ აზრადაც რომ მომსვლოდა, თარჯიმანი არ დამჭირდებოდა: იმჟამად მე თბილისის „დინამოს“ ვწვრთნიდი და ჭკუასელთანაც რუსულად ვსაუბრობდი ხოლმე.

ახლა ვნახოთ როგორ არის აღწერილი ნარკვევში, — მეორე მატჩის მსვლელობა. როდესაც იუგოსლავიელები დაწინაურდნენ (30-ე წუთზე ანგარიში გახდა 2:1), „თამაში დამთავრდა. ოცი ღონემიხდილი, ურთიერთის მიმართ აბსოლუტურად უდანაშაულო ადამიანი უმოწყალოდ ჩეხავდა ერთმანეთს. ისინი ურტყამდნენ ფეხებში, ხელს ჰკრავდნენ, ლანძღავდნენ და უაზრო პოლიტიკურ ბრალდებებსაც უძახდნენ ერთმანეთს (ეჭვგარეშეა, რომ მატჩის წინ ჩვენს მოწინააღმდეგეებსაც სათანადოდ განაწყობდნენ)...“

ვაცხადებ: საბჭოთა ფეხბურთელებს იუგოსლავიელთა წინააღმდეგ არავინ „განაწყობდა სათანადოდ“ და თამაში მთელი 90 წუთი ორივე მხრიდან წესების დაცვითა და კორექტულად ჩატარდა. ტრავმები არ ყოფილა.

იქნებ მეხსიერება მღალატობს? მაგრამ იმ შეხვედრაში მონაწილე თერთმეტი ფეხბურთელიდან ცხრა ჯერაც სრულ ჯანზეა: ბაშაშკინი, ბესკოვი, ივანოვი, კრიჟევსკი, ნეტო, ნიკოლაევი, ნირკოვი, ტროფიმოვი, ჭკუასელი. მე ცხრავეს ველაპარაკე და ყველას, ნირკოვის გარდა, ზუსტად იგივე ახსოვს, რაც მე. მხოლოდ ნირკოვს მიაჩნია, რომ ჩვენი მცველების თამაში, დრო და დრო, უხეში იყო. „ჩვენ „გვარიანად“ დავხვდით მათ!“ — მეუბნება იგი 36 წლის შემდეგ. მაგრამ, ვიმეორებ, მისი ნათქვამი არც ერთმა პარტნიორმა არ დაადასტურა.

მაინც როგორია ჩემი აზრი? რატომ დამარცხდა იუგოსლავიელებთან საბჭოთა ნაკრები 1952 წლის ოლიმპიადაზე? ამ გადამწყვეტ მატჩში ჩვენებს არ ეყოთ ფიზიკური და მორალური ძალა. წინა შეხვედრებში ორჯერ გახდა საჭირო დამატებითი დროის დანიშვნა, თამაშები ჩვენთვის წარუმატებლად წარიმართა და მხოლოდ სულიერი სიძლიერის წყალობით შევძელით სასურველი შედეგის მიღწევა! მესამე შეხვედრაში, როდესაც იუგოსლავიელები იგებდნენ 2:1, მატჩის მსვლელობაში გარდატეხის შეტანა ვერ შევძელით.

ნუ დავივიწყებთ, რომ ჩვენი ძირითადი თავდამსხმელები მაშინ საკმაოდ ასაკოვანნი იყვნენ: ტროფიმოვს 33 წელი შეუსრულდა, ნიკოლაევს — 31, ბობროვს — 30, ბესკოვს — 31. ამ ასაკში მძიმე თამაშის შემდეგ ძალების აღდგენას დრო სჭირდება, რომელიც მათ არა ჰქონდათ.

მაგრამ ჩვენი გუნდი მაინც ერთ-ერთი საუკეთესო იყო იმ ოლიმპიურ ტურნირზე. საერთაშორისო მატჩების ოდნავ მეტი გამოცდილება რომ ჰქონოდათ ფეხბურთელებსა და მწვრთნელებს და ასე რთულად არ წარმართულიყო შეხვედრები, ვფიქრობ, ჩვენს გუნდს ერთ-ერთი ოლიმპიური ჯილდოს მოპოვებაც შეეძლო.

ნაკრების მარცხს წარმოუდგენელი რეაქცია მოჰყვა: დაშალეს ცდკა და სამხედრო-საჰაერო ძალების გუნდები, რომელთა მოთამაშეებიც ნაკრების ბირთვს შეადგენდნენ. რიგ ფეხბურთელებს (მათ შორის ბ. არკადიევსაც) ჩამოართვეს სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება. მათ ბრალად დასდეს ნებისყოფის უქონლობა, სწორედ ის, რაც ასე სრულად წარმოაჩინეს ფეხბურთელებმა ამ ტურნირზე.

როდესაც გადავიკითხე „გაწყვეტის წერტილი“, ველაპარაკე 1952 წლის ჩვენი ოლიმპიური დელეგაციის წევრს ვ. კ. ხომუსკოვს, რომლის მოგონებებიც არაერთხელ მოჰყავთ საბუთად ნარკვევის ავტორებს. მან მითხრა, რომ ბევრი მისი ნათქვამი სრულიად დამახინჯებულად არის წარმოდგენილი.

მიმაჩნია, რომ ყველაფერ ამას მიესადაგება ისტორიკოსისა და ფილოსოფოსის დ. ვოლკოგონოვის სიტყვები (მისი წიგნიდან „ტრიუმფი და ტრაგედია“): „ასე ხდება, როდესაც ჭეშმარიტებას წინასწარ განზრახვით, გამორჩევით ეძიებენ. იღებენ ყველაფერს, რაც კი კონცეფციას მიესადაგება, დანარჩენს — არა, დეფორმირებული სახით ათავსებენ ჩაფიქრებული სქემის ყალიბში. ალბათ, უთქმელადაც ნათელია, რომ ამგვარ „თანმიმდევრობას“ არაფერი საერთო არა აქვს ჭეშმარიტებასთან“.

**მიხეილ იაკუშინი,**
**სპორტის დამსახურებული ოსტატი, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი.**

**„ნედელია“, № 5, 1989 წ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სად არის ხარისხი?



**ჩვენ** უკვე ვწერდით იმის შესახებ, რომ საქართველოს მძლეოსანთა ნაკრები მოახლოებული IV საკავშირო ახალგაზრდული თამაშების წინ დიდი პრობლემების წინაშე დგას. ეს კატეგორიულად დაადასტურა 1968-1971 წლებში დაბადებულ მძლეოსანთა რესპუბლიკურმა პირველობამ, რომელიც თბილისში, საქართველოს პროფსაბჭოს მძლეოსნობის სასახლეში გაიმართა.

შეჯიბრებაზე უამინდობის გამო ვერ ჩამოვიდნენ დასავლეთ საქართველოს მძლეოსანთა უმრავლესობა, მაგრამ სავალალო ეს კი არ არის; როგორც ნაკრები გუნდის ხელმძღვანელებმა გვითხრეს, მათ ჩამოსვლა-არჩამოსვლას თითქმის არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონია, იმ რეგიონებიდან თითქმის არავინ არის იმის ღირსი (შედეგების მიხედვით), რომ გუნდში ჩავრიცხოთ. ასე რომ, მონაწილეთა რაოდენობას დააკლდა და არა ასპარეზობის ხარისხს.

სწორედ ხარისხია ყველაფრის თავი და თავი, თორემ საქართველოში მძლეოსნებს ვინ მოთვლის. ჩვენს შემთხვევაში კი ხარისხის მიჯნა სპორტის ოსტატობის კანდიდატის ნორმაა, რომლის შეუსრულებლობის გამო არც ერთი მძლეოსანი არ დაიშვება IV საკავშირო ახალგაზრდულ თამაშებზე. მართალია, ჩვენი ნაკრები გუნდის ხელმძღვანელების წინასწარ სიაში ხუთ ათეულამდე სპორტსმენია, რომლებმაც ეს წოდება უკვე მოიპოვეს, მაგრამ, გულახდილად გითხრათ, ამ სიის საბუთიანობა გვაეჭვებს. 50 კი არა, ამისმა ნახევარმაც რომ აჩვენოს სპორტის ოსტატობის კანდიდატის შედეგი წლეულს ზაფხულს, გადამწყვეტ სტარტებზე, კიდევ არა გვიშავს რა.

ზემოხსენებულ პირველობაზე მძლეოსნობის 27 სახეობაში გამართული შეჯიბრებიდან მხოლოდ ორი, ბირთვის მკვრელი მერაბ ყურაშვილი და სიმაღლეზე მხტომელი ვლადიმირ მინაკოვი მისწვდა სპორტის ოსტატობის კანდიდატის შესატყვის შედეგს, ათმა სპორტსმენმა — პირველი, ხოლო სხვა დანარჩენებში მეორე თანრიგის შედეგებით გაიმარჯვეს.

მართალია, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ სპორტული სეზონი ეს-ესაა დაიწყო, მაგრამ ეს ჩვენთვის დიდ ნუგეშად მაინც ვერ ჩაითვლება.

გოგონებიდან სხვებზე უკეთესად გამოვიდნენ ანა გოგიძე და თამარ რამაზაშვილი თარჯრბენში (ორივეს მერი ქოჩლაძე ავარჯიშებს). მათთვის სპორტის ოსტატობის კანდიდატის ნორმატივი იოლი მისაღწევი უნდა იყოს საგაზაფხულო შეჯიბრებებში. აღსანიშნავია გურანდა თედორაძის (მწვრთნელი ლამარა ტუღუში) შედეგიც ბირთვის კვრაში. თითქოს არა უშავდა რა სპრინტერების გამოსვლას. ეს არის და ეს...

მწვრთნელებს იმედი გაუწბილეს სპრინტერმა ჭაბუკებმა, ცალკეულ სპორტსმენებზე რა მოგახსენოთ, მაგრამ ადრე გუნდის ხელმძღვანელები იმას მაინც ცდილობდნენ, რომ ამანათრბენის კარგი კვარტეტი ჩამოეყალიბებინათ. ახლა კი ეს ამოცანაც მეტად საძნელო ჩანს, იმდენად დაბალი იყო შედეგები; 60, 200 და 400 მეტრზე რბენაში ვერავინ აჩვენა პირველი თანრიგი, 400 მეტრზე რბენაში გამარჯვებულმა გენადი მაჩკალოვმა, მაგალითად, მთელი 1,6 წამი მოუგო თავის უახლოეს მეტოქეს. აბა, აქ რა ძლიერ გუნდზე შეიძლება ლაპარაკი.

თარჯრბენის ორი დისტანცია მოიგო რუსთაველმა ვლადიმერ ფიოდოროვმა (მწვრთნელი ვალერი ფიოდოროვი). ამ დისტანციებზე ძალზე მაღალი შედეგები აჩვენა უკონკურსოდ მოასპარეზე გელა ვეშაპიძემ — 7,8 და 13,7. როგორც უკვე ვთქვით, შედარებით უკეთესად გამოვიდნენ აგრეთვე მერაბ ყურაშვილი (ყარამან საბანიშვილი) და ვლადიმირ მინაკოვი (გენადი სავჩენკო). ბირთვის კვრაში, საერთოდ, ალბათ უკეთესი შედეგების იმედი უნდა გვქონდეს.

**გიორგი პავლიაშვილი.**



**გაგაცნობთ გამარჯვებულებს:**

**გოგოები. 60 მ.** თამარ შანიძე (პროფკავშირები-I) — 7,6; **200 მ.** ელენა ანისოვა (პროფკავშირები-II) —26,2; **400 მ.** ედიტა ჭკადუა („შრომითი რეზერვები") 59,0; **800** და **1500 მ.** ინგა შულგა — 2.25,5 და 4.55,9; **3000 მ.** ლამზირა კაპანაძე (ყველა—პროფკავშირები-I) — 12.07,8.

**თარჯრბენი. 60 მ.** ანა გოგიძე (პროფკავშირები-I) — 8,6; **100 მ.** თამარ რამაზაშვილი (პროფკავშირები-II) — 16,3.

**5 კმ სპორტული სიარული.** რენა ბინატოვა (პროფკავშირები-I) — 28.07,2.

**სიგრძეზე ხტომა.** მაია ტანიაშვილი (პროფკავშირები-I) — 5.02 მ; **სიმაღლეზე ხტომა.** მარინა შაშკინა („დინამო") — 165 სმ.

**ბირთვი.** გურანდა თედორაძე („დინამო") — 15,36 მ.

**ჭაბუკები. 60 მ.** დმიტრი ანტონოვი („დინამო") — 6,7; **200 მ.** ვლადიმირ ბორისოვი (პროფკავშირები-I) — 23,3; **400 მ.** გენადი მაჩკალოვი (ასკ) — 51,0; **800 მ.** ანდრეი რაიკოვი (პროფკავშირები-I) — 1.57,0; **1500 მ.** ოლეგ ხოხლოვი (ასკ) — 3.58,4; **3000 მ.** გეორგ სტეპანიანი (პროფკავშირები) — 9.26,0.

**თარჯრბენი. 60** და **110 მ.** ვლადიმირ ფიოდოროვი (პროფკავშირები-I) — 6,4 და 15,2. **3 კმ წინაღობებით.** ზურაბ ხიტირი (ასკ) — 9.35,9.

**10 კმ სპორტული სიარული.** ჯონი ბაიაძე (პროფკავშირები-I) — 49.23,2.

**ხტომა. სიგრძეზე.** დმიტრი ანტონოვი („დინამო") — 7,12 მ; **სიმაღლეზე.** ვლადიმირ მინაკოვი (პროფკავშირები-I) — 205 სმ; **ჭოკი.** ირაკლი ბედოშვილი (პროფკავშირები-II) — 380 სმ; **სამხტომი.** ვასილი მახარაძე (ასკ) — 15,00 მ.

**ბირთვი.** მერაბ ყურაშვილი („დინამო") — 16,67 მ.

**გუნდური.** 1. პროფკავშირები-I — 16342 ქულა; 2. პროფკავშირები-II —10739; 3. ასკ — 8655; 4. „დინამო" — 7861; 5. „შრომითი რეზერვები" — 2970.

# ძველი ტურნირის ახალი მისამართი

**ჭაბუკ** ფეხბურთელთა საერთაშორისო ტურნირს ჟურნალ „სმენას" პრიზზე, რომელსაც სტარტი 1 მარტს მიეცემა, უმასპინძლებს ჩვენი რესპუბლიკის ოთხი ქალაქი: სამტრედია, ხობი, ვანი და ცხაკაია. ეს მეტად წარმომადგენლობითი ტურნირია, ჩვენი მაყურებელი იხილავს ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთის, თურქეთის, რუმინეთის, უნგრეთის, ბულგარეთის, საბჭოთა კავშირის (ორი გუნდი), უკრაინისა და საქართველოს ჭაბუკ ფეხბურთელთა (1972-73 წლებში დაბადებულნი) ნაკრებ გუნდებს.

ამ ტრადიციულ ტურნირს უწინ შუა აზიის რესპუბლიკები მასპინძლობდნენ, წლეულს კი ეს საინტერესო ასპარეზობა პირველად ჩატარდება საქართველოში.

ამ მნიშვნელოვანი შეხვედრებისათვის მზადება ოთხივე ქალაქში რამდენიმე თვის წინ დაიწყო. რესპუბლიკის სპორტსახკომის ფეხბურთის სამმართველოს წარმომადგენლები რამდენიმეჯერ ეწვივნენ მასპინძელ ქალაქებს, ამოწმებდნენ სათამაშო მინდვრებს, სტადიონების მზადყოფნას. ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანოები ყოველნაირად შეეცადნენ, რათა ჩამოსულ სპორტსმენებსა და მწვრთნელებს ნორმალური პირობები შეუქმნან თამაშებისა და დასვენებისთვის, იმედია, მასპინძლები დარჩენილ დღეებსაც მაქსიმალურად გამოიყენებენ. სწორედ მათს მონდომებაზეა დამოკიდებული, თუ როგორ ჩაივლის ეს საპასუხისმგებლო შეხვედრები. ყველაფერი უნდა ვიღონოთ საიმისოდ, რათა მომავალშიც მოგვეცეს ანალოგიური ტურნირების ჩატარების საშუალება.

საქართველოში ფეხბურთი ყველას უყვარს, მისი ტრფიალი თითოეული ჩვენგანის სისხლხორცეული საქმეა, მაგრამ, ალბათ დაგვერწმუნებით, რომ იმ მოთამაშეთა საკუთარი თვალით ხილვა მინდორზე, რომელთაგან უმაღლესი კლასის ოსტატებს ველით, გულგრილს არავის დატოვებს. ასეთი ფეხბურთელები კი ტურნირში საკმაოდ იქნებიან.

სწორედ ჭაბუკ ფეხბურთელთა ასპარეზობიდან იწყება რთული გზა უმაღლესი რანგის ფეხბურთელებამდე. სხვადასხვა წლებში გამოდიოდნენ ჭაბუკთა ტურნირებში ბეკენბაუერი, ფოგტსი, მაიერი, ზეელერი, ნეტცერი, ოვერატი (გფრ), პიტერსი, ჰერსტი ლი, სტაილზი, მური, გრივსი (ინგლისი), დალგლიში (შოტლანდია), ვან ჰიმსტი (ბელგია), ფაკეტი, მაცოლა, ალბერტოზი, რივა (იტალია), კროიფი, რეპი, ნეესკენსი (ჰოლანდია), ასპარუხოვი (ბულგარეთი), ჯაიჩი, გალჩი, შეკულარაცი, შოშკიჩი (იუგოსლავია), ლიუბანსკი (პოლონეთი), ალბერტი (უნგრეთი), შპარვასერი, კროი, შტრაიხი (გდრ) და სხვ.

საბჭოთა ფეხბურთელთაგან ამ საინტერესო შეჯიბრებებში მონაწილეობდნენ აბდურაიმოვი, გერშკოვიჩი, დოლცენკო, შმუცი, დეგტიარევი, ბალი, ხიდიატულინი, ხაპსალისი, ვიქ. ჩანოვი, ტარანი, გურინოვიჩი, კოქემიაკინი, ბლოხინი, ბურიაკი, ლიტოვჩენკო, პროტასოვი, ბაიდაჩნი.

საქართველოს ფეხბურთელთაგან ჭაბუკთა ევროპულ ტურნირებში სხვადასხვა დროს გამოდიოდნენ გუცაევი, ძმები ნოდიები, ჰოხონელიძე, გაგოშიძე, ჩიტაური, შერგელაშვილი, კანთელაძე, დარასელია, მჭედლიძე, ფარულავა, ბერულავა, შელია, ესებუა, დოჩია, ფანცულაია, რევიშვილი, მიქამავიძე, კულუმბეგოვი და სხვანი. ნაკრებ გუნდებში ახლაც თამაშობენ ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები. ეს ის საფეხბურთო რეზერვია, რომლიდანაც სულ მალე საიმედო შევსება უნდა მიიღონ ჩვენი რესპუბლიკის მოწინავე გუნდებმა.

ასპარეზობა, როგორც აღვნიშნეთ, 1 მარტს დაიწყება. მას ჩვენი ქვეყნის საუკეთესო არბიტრები მოემსახურებიან. მსაჯთა კორპუსს უხელმძღვანელებს საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი კარლო ყრუაშვილი. წარმატება ვუსურვოთ ჭაბუკ ფეხბურთელებს ამ საინტერესო ასპარეზობაში.

**ზაზა კახაძე.**

გათამაშების კალენდარი: გუნდები ორ ქვეჯგუფად არიან დაყოფილი. **„ა" ჯგუფი:** უკრაინა, სსრკ-1, ჩეხოსლოვაკია, პოლონეთი, თურქეთი, **„ბ" ჯგუფი:** სსრკ-2, საქართველო, რუმინეთი, უნგრეთი, ბულგარეთი.

**1 მარტი, ოთხშაბათი**

**სამტრედია.** სსრკ-1 — თურქეთი. 15 ს. 30 წთ.
**ვანი.** ჩეხოსლოვაკია — პოლონეთი. 11 ს. 30 წთ.
**ცხაკაია.** საქართველო — უნგრეთი. 11 ს. 30 წთ.
**ხობი.** რუმინეთი — ბულგარეთი. 11 ს. 30 წთ.

**2 მარტი, ხუთშაბათი**

**ვანი.** თურქეთი — ჩეხოსლოვაკია. 15 ს. 30 წთ.
**სამტრედია.** უკრაინა — სსრკ-1 15 ს. 30 წთ.
**ცხაკაია.** უნგრეთი — რუმინეთი. 15 ს. 30 წთ.
**ხობი.** სსრკ-2 — საქართველო. 15 ს. 30 წთ.

**4 მარტი, შაბათი**

**ვანი.** ჩეხოსლოვაკია — უკრაინა. 15 ს. 30 წთ.
**ხობი.** პოლონეთი — თურქეთი. 15 ს. 30 წთ.
**სამტრედია.** რუმინეთი — სსრკ-2. 15 ს. 30 წთ.
**ცხაკაია.** ბულგარეთი — უნგრეთი. 15 ს. 30 წთ.

**5 მარტი, კვირა**

**ვანი.** უკრაინა — პოლონეთი. 15 ს. 30 წთ.
**სამტრედია.** სსრკ-1 — ჩეხოსლოვაკია. 15 ს. 30 წთ.
**ხობი.** სსრკ-2 — ბულგარეთი. 15 ს. 30 წთ.
**ცხაკაია.** საქართველო — რუმინეთი. 15 ს. 30 წთ.

**7 მარტი, სამშაბათი**

**სამტრედია.** პოლონეთი — სსრკ-1 15 ს. 30 წთ.
**ვანი.** თურქეთი — უკრაინა. 15 ს. 30 წთ.
**ხობი.** ბულგარეთი — საქართველო. 15 ს. 30 წთ.
**ცხაკაია.** უნგრეთი — სსრკ-2. 15 ს. 30 წთ.

**9 მარტი, ხუთშაბათი**

**ხობი.** შეხვედრა IX-X ადგილებისათვის. 11 ს. 30 წთ.
**ცხაკაია.** VII-VIII ადგ. 11 ს. 30 წთ.
**ვანი.** V-VI ადგ. 11 ს. 30 წთ.
**სამტრედია.** III-IV ადგ. 13 ს.

ფინალური მატჩი სამტრედიის სტადიონზე გაიმართება 15 საათზე.

# ცვლილებები ოსტატთა გუნდებში

**სსრ კავშირის** ფეხბურთის ფედერაციის სპორტტექნიკურმა კომისიამ მორიგ სხდომაზე განიხილა ოსტატთა გუნდებში მომხდარ ცვლილებათა საკითხი.

დააკმაყოფილეს მოსკოვის „ლოკომოტივის" ფეხბურთელის ა. დოზმოროვის თხოვნა მისი ლანჩხუთის „გურიის" შემადგენლობაში გადასვლის თაობაზე (ა. დოზმოროვი უწინ მოსკოვის „ტორპედოშიც" გამოდიოდა).

მოსკოვის „დინამოს" ფეხბურთელი გ. მოროზოვი მოსკოვის „სპარტაკში" გადავიდა, როსტოვის არმიელი ე. კნიაჟევი — მოსკოვის „ტორპედოში". ხარკოვის „მეტალისტის" მოთამაშე ა. ენეი ლვოვის ასკ „კარპატში" გადავიდა, ხოლო დონეცკის „შახტიორის" ფეხბურთელი ს. გერასიმეცი მინსკის „დინამოში" ჩაირიცხა.

# საკონტროლო მატჩები

**შავი** ზღვის სანაპიროზე წინასასეზონო სამზადისს გადიან რესპუბლიკის საფეხბურთო კოლექტივები, ზოგიერთმა მათგანმა საწვრთნელ-საკონტროლო მატჩებიც გამართა.

ჩვენმა ლანჩხუთელმა კორესპონდენტმა **ავთანდილ ორმოცაძემ** სოფ. ალახაძედან შეგვატყობინა, რომ აქაური სპორტული ბაზის მინდორზე შედგა ლანჩხუთის „გურიისა" და ზაპოროჟიეს „მეტალურგის" საკონტროლო შეხვედრა. იგი დამთავრდა ლანჩხუთელ ფეხბურთელთა გამარჯვებით ანგარიშით 2:1. „გურიის" მხრივ ბურთები გაიტანეს ჟორდანიამ და დოზმოროვმა.

ლანჩხუთელთა გუნდი ამ მატჩში ასეთი შემადგენლობით გამოვიდა: ქანთარია, ტყებუჩავა, ოლეფირენკო, დანელია, კაციტაძე, ცომაია, ჟორდანია, დოზმოროვი, კორძალიძე, უგრელიძე, ხლუსი.

ეშერის სპორტული ბაზის სტადიონზე ერთმანეთს შეხვდნენ სსრ კავშირის ახალგაზრდული ნაკრები და საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-საკვლევი ინსტიტუტის გუნდი. საინტერესო თამაში დამთავრდა ფრედ — 2:2.

# ევროპის სუპერთასი — „მეჰელენს"

**ევროპის** საფეხბურთო სუპერთასის საპასუხო მატჩში ერთმანეთს ხელმეორედ შეხვდნენ ჰოლანდიის „ეინდჰოვენი" და ბელგიის „მეჰელენი". ჩემპიონთა თასის მფლობელმა „მეჰელენმა" ერთი კვირის წინ ანგარიშით 3:0 დაამარცხა თასების მფლობელთა თასის მფლობელი „ეინდჰოვენი" და, თუმცა, სარევანშო მატჩი ჰოლანდიელებმა მოიგეს (1:0), ორი შეხვედრის ჯამში გამარჯვება და მასთან ერთად საპატიო თასი ბელგიელ ფეხბურთელებს ხვდათ წილად.



**ათენი.** საბერძნეთის დედაქალაქის ოლიმპიურ სტადიონზე ერთმანეთს ამხანაგურ მატჩში შეხვდნენ ამ ქვეყნისა და ინგლისის ნაკრები გუნდები. თამაში დამთავრდა ინგლისელთა გამარჯვებით — 2:1.

მატჩის პირველივე წუთზე ანგარიში 11-მეტრიანით გახსნა სარავაკოსმა, მაგრამ ინგლისელმა ბარნსმა მე-8 წუთზე საპასუხო ბურთი გაიტანა — 1:1. შემდგომში თამაში მეტად მწვავედ მიმდინარეობდა, მსაჯის საფინალო სასტვენამდე 12 წუთით ადრე რობსონის მიერ გატანილმა მეტად ეფექტურმა გოლმა გამარჯვება ინგლისელებს მოუტანა — 2:1.

**იერუსალიმი.** ფრედ — 3:3 დამთავრდა ისრაელისა და უელსის ეროვნული ნაკრები გუნდების ამხანაგური შეხვედრა. მატჩის დასაწყისში მასპინძლებმა ზედიზედ 2 ბურთი გაიტანეს უელსელთა კარში და შემდეგაც, თამაშის დასასრულს რომ ერთი წუთი აკლდა, ისრაელის ნაკრები წინ იყო ანგარიშით 3:2, მაგრამ სტუმრებმა მაინც ფრეს მიაღწიეს.

**რომი.** იტალიის საფეხბურთო თასის ფინალში ერთმანეთს შეხვდებიან „ნაპოლი" და „სამპდორია". საპასუხო ნახევარფინალურ მატჩებში „ნაპოლიმ" ანგარიშით 1:0 დაამარცხა „პიზა", ხოლო „სამპდორიამ" — „ატალანტა" — 3:1.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყალში მხტომელთა საკავშირო პირველობა გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის“ პრიზზე და სსრ კავშირის ჩემპიონატი

# ერთადერთი შეცდომის ფასი

**როცა** თბილისელმა დინამოელმა გიორგი შელიუგოვმა დილით 1-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში „კომსომოლსკაია. პრავდის“ პრიზზე გამართულ საკავშირო შეჯიბრებაზე მეორე ადგილი დაიკავა, რალა თქმა უნდა, იმედი მოგვეცა, რომ საღამოს სსრ კავშირის ჩემპიონატშიც საპრიზო ადგილზე მოხვდებოდა. მართლაც, მან წარმატებით დაძლია მეოთხედფინალური ეტაპი და ნახევარფინალშიც წინ მიიწევდა. სამწუხაროდ, ერთ-ერთი გამოსვლის დროს ტრამპლინზე ორჯერ ახტა და... საბედნიეროდ, წყალში აღარ გადაეშვა. რომ ჩამხტარიყო, ეს ცდა შეუფასებელი დარჩებოდა და აღარც განმეორებითი ნახტომის შესრულების უფლებას მისცემდნენ.

საბედნიეროდ, წყალში აღარ გააეშვაო, ვამბობთ, მაგრამ შელიკოვისთვის ეს დიდი შეღავათი ა. იყო, რადგან განმეორებითი ნახტომის მერე თბილისელ სპორტსმენს მსაჯებმა იმ შეცდომისთვის, წესისა და რიგის მიხედვით, თავიანთ შეფასებებს 2,5-2,5 ქულა ჩამოუკლეს. ბუნებრივია, შელიუგოვს ის ერთადერთი შეცდომა ძვირად დაუჯდა და ოთხ ფინალისტს შორის ველარ მოხვდა.

საინტერესოა, რომ ბედმა უფრო უმუხთლა სტავროპოლელ ვიაჩესლავ გონჩაროვსაც, რომელმაც ნახევარფინალურ ასპარეზობაში ერთ-ერთი ურთულესი ნახტომისას (გარბენით 2,5 ბრუნი უკან) ხელი ძლიერად ჩამოკრა ტრამპლინს და დაშავდა.

რალა თქმა უნდა, გონჩაროვი ბრძოლას გამოეთიშა.



გიორგი შელიუგოვი



დიანა მჭედლიძე



ტატიანა ვოლკოვა



ვერა ილინა

ფინალისტთაგან სსრ კავშირის ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვა მინსკელმა ალექსანდრ კოგოლევმა (472,43), რომელიც გაზეთის პრიზზე გამართულ შეჯიბრებაში მესამე იყო.

აღსანიშნავია, რომ კოგოლევმა ერთ-ერთი ნახტომისთვის ძალზე მაღალი შეფასება, 9 ქულა მიიღო. რაც 1-მეტრიან ტრამპლინზე ასპარეზობისას საკმაოდ იშვიათი შემთხვევაა.

პრიზის მფლობელმა სერგეი ლომანოვსკიმ ჩემპიონატში ვერცხლის მედალი მოიპოვა (567,32), მესამე იყო კიეველი ვალერი სტაცენკო (559,21).

ასპარეზობის მესამე დღეს სარბიელზე გამოვიდნენ 3-მეტრიანი ტრამპლინიდან მხტომელი ქალები.

დილით გაზეთის პრიზზე გამართულ ბრძოლებში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: ირინა ლაშკო (სვერდლოვსკი) — 492,60, მარინა ბობკოვა (მოსკოვი) — 476,58, ლიუბოვ ბოროდულინა (სარატოვი) — 470,43. თბილისელი დიანა მჭედლიძე, მეხუთე იყო — 461,34.

საღამოს, უკვე საკავშირო ჩემპიონატის პროგრამით, მჭედლიძემ, ისე, როგორც 1-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში, კვლავ ბრინჯაოს მედალი მოიპოვა — 475,56. უძლიერესი კი ისევ ირინე ლაშკო გახდა — 504.75. მეორე იყო მარინე ბობკოვა — 492,96.

მჭედლიძეს იქნებ მეტისთვისაც მიეღწია, ფინალში რომ მეშვიდე ნახტომი არ გაეფუჭებინა. ამის შემდეგ იგი მეორიდან მეოთხე ადგილზე ჩამოქვეითდა, მაგრამ ბოლო ორი ნახტომი კვლავ კარგად შეასრულა და დაწინაურდა.

გუშინ დილით 3-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში შესანიშნავად იასპარეზა თბილისელმა გიორგი ჩოგოვაძემ („დინამო“) და „კომსომოლსკაია პრავდის“ ლაურეატი გახდა — 608,88. მეორე იყო კოგოლევი — 577,77, მესამე — ანატოლ ივაშკინი (ელექტროსტალი) — 555,72.

აქ მეოთხე ადგილზე შელიუგოვი გავიდა — 554.67, ხოლო მისი თანაგუნდელი, თბილისელი მოსწავლე იური შუკუროვი მეორე ალმოჩნდა — 468,18.

ამრიგად, გუშინ საკავშირო ჩემპიონატში ბრძოლის უფლება ერთბაშად ორმა თბილისელმა — ჩოგოვაძემ და შელიუგოვმა — მოიპოვა. მათ ფინალურ ოთხეულშიც გაიკაფეს გზა.

ჩემპიონი გახდა ვალერი სტაცენკო — 624,54. მეორე იყო გიორგი ჩოგოვაძე — 622,68, ხოლო მესამე ალექსანდრე კოგოლევი — 590,16. გიორგი შელიუგოვმა 569,02 ქულა დააგროვა.

**ავთანდილ გურასაშვილი.**

ავტორის ფოტოები.



# „ნატურბანი“ და მისი მიმდევრები

**შარშან** ბაკურიანში ჩამოყალიბდა ახალი სპორტის სახეობა „ნატურბანი“. ამ საქმეს სათავეში ჩაუდგა საქართველოს ნაკრების მწვრთნელი ფელიქს ქუმარიტაშვილი.

აქ 20 მოზარდია გაერთიანებული (1972-1977 წლებში დაბადებულნი). მეორე ჯგუფში კი უფროსები არიან.

ამ ცოტა ხნის წინათ ბაკურიანელები (ზაზა დიაკონაშვილი, თენგიზ აკოფოვი, ზაზა კოჩიევი და მიხეილ უსტინენკო) ჩელიაბინსკის ოლქის ქალაქ ზლატაუსტში ასპარეზობდნენ საბჭოთა კავშირის პირველობაზე მოზარდთა შორის, სადაც VI ადგილი დაიკავეს ორადგილიანი ციგით, ხოლო IX — ერთადგილიანი ციგით. ჩვენი სპორტსმენები ეჯიბრებოდნენ გამოცდილ სპორტსმენებს. ასე რომ, ეს შედეგი კარგია ახალდამწყები სპორტსმენებისთვის.

ახლა ბაკურიანში დაგეგმილია ახალი ტრასის მშენებლობა, ვინაიდან ძველი დაინგრა. საერთოდ, რაიონის სპორტკომიტეტი ყოველმხრივ ეხმარება სპორტის ახალი სახეობის მიმდევართ. ტრასის გაშენებამდე კი სპორტსმენებს სხვა ქალაქებში უხდებათ ვარჯიში.

**ს უ რ ა თ ზ ე: მარცხნიდან — ზაზა ჯიჩოევი, თენგიზ აკოფოვი, მწვრთნელი ფელიქს ქუმარიტაშვილი, ზაზა დიაკონიშვილი და ლევან თიბილოვი.**

**ელგუჯა ნადარეიშვილის ტექსტი და ფოტო.**

# ფინიშის სწორზე

**თბილისის** ჭადრაკის სასახლეში გრძელდება ახალგაზრდა. ოსტატ მოჭადრაკე ვაჟთა საკავშირო პირველობა. X-XI ტურების ტექნიკური შედეგები: **X ტური:** ნევეროვი-ტიმოშენკო — 1:0, აკოფიანი-სავჩენკო — 1:0, ეპიშინი-რუბანი — 0,5:0,5, როზენტალისი-დრეევი — 0,5:0,5, შიროვი-დაუტოვი — 0,5:0,5, სერპერი-ოლი — 0,5:0,5, გიორგაძე-ულიბინი —0,5-0,5. გადაიდო ანასტასიან-შაბალოვის პარტია. **XI ტური:** ტიმოშენკო-გიორგაძე — 0:1, ოლი-შიროვი — 0,5:0,5; ულიბინი-სერპერი— 0,5:0,5, დრეევი-ეპიშინი — 0,5:0,5, შაბალოვი-როზენტალისი —0,5:0,5, გადაიდო დაუტოვ-აკოფიანის, რუბან-ნევეროვისა და სავჩენკო-ანასტასიანის პარტიები.

11 ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფში არიან ვალერი ნევეროვი (კიევი) — 7 (1), რუსტემ დაუტოვი (მინსკი) — 6,5 (1), ალექსეი დრეევი (მოსკოვის ოლქი), ედვარდ როზენტალისი (ვილნიუსი) — 6,5-6,5.

**თამარ ხუგაშვილი.**

სსრ კავშირის ჩემპიონატი წყალბურთში

# ორჭოფიანი

**წყალბურთელთა** 45-ე საკავშირო ჩემპიონატის ახალი ფორმულის თანახმად ყოველი ეტაპის შემდეგ ოთხი აუტსაიდერი ტოვებს უძლიერესთა ჯგუფს და საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლასაც ეთიშება. პირველი ასეთი განთესვა მოხდება მაშინ, როცა ტურნირის თორმეტივე მონაწილე დაამთავრებს ორწრიან ტურნირს, მერე რვა კოლექტივს კიდევ ოთხი გუნდი გამოაკლდება. დარჩენილი ოთხი კლუბი კი ფინალურ ჯგუფს შექმნის, რომელიც სუპერფინალის ორ მონაწილეს გამოავლენს.

ჯერჯერობით უძლიერესთა ოთხეულზე ლაპარაკი ნაადრევია, მაგრამ ის კი უნდა აღინიშნოს, რომ ჩემპიონატის პირველმა ტურმა ბევრი მოულოდნელობა შემოგვთავაზა, რაც იმას ნიშნავს, რომ ბრძოლა წლევანდელ ჩემპიონატში ნაცნობი სქემით არ განვითარდება.

ტურნირის პირველ ეტაპზე მთავარი სიურპრიზი სევასტოპოლელმა მეზღვაურებმა შემოგვთავაზეს, წყალბურთელებმა, რომლებიც უმაღლეს ლიგაში ამ ორიოდე წლის წინ დამკვიდრდნენ. ამ გუნდმა დაამარცხა შარშანდელი ვერცხლის პრიზიორი და საკავშირო თასის მფლობელი მოსკოვის „დინამო“. ორი დამარცხებით ჯერჯერობით მეხუთე ადგილზეა 1988 წლის ჩემპიონი ცსკ ვმფ.

ალმა-ათის „დინამოს“, რომელიც შინ თამაშობდა, ბოლო შეხვედრამდე ჰქონდა შანსი ერთპიროვნული ლიდერი გამხდარიყო, მაგრამ მეხუთე კალენდარულ დღეს დამარცხდა ლვოველ თანაკლუბელებთან. ახლა ეს ორი კოლექტივი 7-7 ქულით მესამე-მეოთხე ადგილებს იყოფს.

**ჩემპიონატის ნაკრები ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინ.“ (მოსკ.) | 5 | 4 | 0 | 1 | 60-44 | 8 |
| „დინ.“ (თბ.) | 5 | 4 | 0 | 1 | 38-38 | 8 |
| „დინ.“ (ა-ათა) | 5 | 3 | 1 | 1 | 37-32 | 7 |
| „დინ.“ (ლვოვი) | 5 | 3 | 1 | 1 | 43-43 | 7 |
| ცსკ ვმფ | 5 | 3 | 0 | 2 | 54-39 | 6 |
| „უნივ.“ (მოსკ.) | 5 | 2 | 1 | 2 | 42-34 | 5 |
| „დინ.“ (კიევი) | 5 | 1 | 3 | 1 | 40-39 | 5 |
| კჩფ (სევასტ.) | 5 | 2 | 1 | 2 | 46-46 | 5 |
| „ტორპ.“ (მოსკ.) | 5 | 1 | 3 | 1 | 37-40 | 5 |
| „ლოკ.“ (ხარკ.) | 5 | 1 | 0 | 4 | 34-49 | 2 |
| „მოსკვიჩი“ | 5 | 0 | 1 | 4 | 29-40 | 1 |
| კკფ (ბაქო) | 5 | 0 | 1 | 4 | 37-53 | 1 |

სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

# ცსკა-ს უჭირს

გაიმართა უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩები

**კაუნასი**. თბილისის „დინამოს“ კალათბურთელებმა მეორე მატჩიც წააგეს ადგილობრივ „ჟალგირისთან“ 79:123 (35:56).

**კიევი.** სსრ კავშირის შარშანდელ ჩემპიონ ცსკა-ს, როგორც ჩანს, ვერც მწვრთნელის შეცვლამ უშველა. კიევის „სტროიტელთან“ შეხვედრაში მან მეტოქეს სერიოზული წინააღმდეგობა მხოლოდ პირველ ტაიმში გაუწია, რომელიც ქულით წააგო — 33:34.

შესვენების შემდეგ მასპინძლებმა ხელთ იგდეს ინიციატივა, მთელი ტაიმი დიდი აღმავლობით ჩაატარეს და გაიმარჯვეს 17 ქულის უპირატესობით — 93:76. ეს მიმდინარე ჩემპიონატში არმიელთა მეხუთე დამარცხებაა.

**ტალინი.** ადგილობრივი „კალევის“ და რიგის ვეფ-ის შეხვედრაში გამარჯვება ესტონელ კალათბურთელებს დარჩათ 96:77 (43:30).

**გათამაშების ცხრილი**

მდგომარეობა 10 თებერვლისთვის

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| „დინამო“ (მოსკ.) | 26 | 16 | 10 | 42 |
| ასკ (ალმა-ათა) | 22 | 15 | 7 | 37 |
| „ჟალგირ.“ (კაუნ.) | 18 | 17 | 1 | 35 |
| ცსკა | 20 | 15 | 5 | 35 |
| „კალევი“ (ტალ.) | 23 | 10 | 13 | 33 |
| „დინამო“ (თბ.) | 24 | 8 | 16 | 32 |
| „სტროიტ.“ (კიევი) | 17 | 14 | 3 | 31 |
| „სტატიბა“ (ვილ.) | 20 | 10 | 10 | 30 |
| ვეფ (რიგა) | 26 | 4 | 22 | 30 |
| რტი (მინსკი) | 20 | 8 | 12 | 28 |
| „სპარტაკი“ (ლენ.) | 22 | 6 | 16 | 28 |
| „შახტიორი“ (დონ.) | 20 | 6 | 14 | 26 |

# კურტინაიტისი პროფესიონალებს შეეჯიბრება

**პროფესიონალი** კალათბურთელები ეროვნული ჩემპიონატის (ნბა-ს ტურნირი) გარდა, ყოველწლიურად შორი მანძილებიდან ტყორცნების სპეციალურ კონკურსში მონაწილეობენ, რომელიც ტარდება ჰიუსტონში დიდი საკალათბურთო შოუს „სატერდეი სტარზის“ პარალელურად. ბოლო სამი ასეთი კონკურსი მოგებული აქვს პროფესიული კალათბურთის ერთ-ერთ აღიარებულ „ვარსკვლავს“ ლარი ბერდს.

წლევანდელ კონკურსში, რომელიც დღეს იწყება, მონაწილეობას მიიღებს საბჭოთა კავშირის წარმომადგენელიც, კაუნასის „ჟალგირისის“ მოთამაშე რიმას კურტინაიტისი.

სხვათა შორის, კურტინაიტისმა შარშან მოიგო კაუნასში ჩატარებული ანალოგიური კონკურსი — 30 სროლაში 19 ქულა დააგროვა.

კონკურსის ტელერეპორტაჟი გადაიცემა მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში.

რედაქტორი
**თ. გაჩეჩილაძე.**

**ჩვენი მისამართი:**
წერილებისთვის — 380096,
თბილისი, ლენინის ქ. 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,

**რედაქციის ტელეფონები:**
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 10350